



საერთო პირობების დანართი N26 - BOG sCoolApp შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. შეიცვალოს **7.21. პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.21. **მესამე პირისაგან** მოითხოვოს თანხის ჩარიცხვა ან/და მოითხოვოს თანხის ჩარიცხვა თანხის გაყოფის ფუნქციონალით ან/და გააუქმოს აღნიშნული მოთხოვნა ან/და ჩათვალოს აღნიშნული მოთხოვნა მიღებულად.

8. შეიცვალოს **15. პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ინფორმირებულია მის მიერ **მესამე პირისაგან** თანხის ჩარიცხვის, მათ შორის, თანხის გაყოფის ფუნქციონალით თანხის ჩარიცხვის მოთხოვნისთანავე **მესამე პირს** მიეწოდება შემდეგი მონაცემები: **კლიენტის** სახელი და გვარი, მოთხოვნილი თანხისოდენობა, **კლიენტის ანგარიში**, რომელზეც უნდა მოხდეს მოთხოვნილი თანხის ჩარიცხვა და მოთხოვნის დანიშნულება (**კლიენტის** მიერ მითითების შემთხვევაში). **კლიენტი** თანახმაა, ასეთი ინფორმაცია **ბანკის** არაკლიენტ **მესამე პირს** მიეწოდოს **კლიენტის** მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ხოლო თუ **მესამე პირი** არის **ბანკის** სხვა კლიენტი, ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები **მესამე პირს** მიეწოდება მის **ფინანსურ ნომერზე** ან PUSH ნოტიფიკაციის საშუალებით. ამასთან, **ბანკი** იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას, **კლიენტის** მიერ **მესამე პირის/მისი** საკონტაქტო ინფორმაციის არასწორად მითითების გამო ან/და ნებისმიერი ისეთი შემთხვევის გამო, როდესაც **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზით, გაგზავნილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი სხვა **მესამე პირისთვის**.